2. თემატური მიმართულებები, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება გრანტის გაცემა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის (შემდგომში – ფონდი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. საგრანტო კონკურსის მიზანია ახალგაზრდული ორგანიზაციების პროექტების მხარდაჭერა და იმ ახალგაზრდული ორგანიზაციების საგრანტო პროგრამებით წახალისება, რომლებიც ემსახურებიან ახალგაზრდების განვითარებასა და საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. გრანტი გაიცემა კანონიერების, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კოლეგიალურობის, კორექტულობის, თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის, რაციონალურობის, ანგარიშვალდებულების, კანონის წინაშე თანასწორობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 2. **ტერმინთა განმარტებები**

1. დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს, ამავე დებულების მიზნებისთვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ბენეფიციარი** – პირი, რომელიც სარგებლობს საგრანტო პროექტის ფარგლებში წარმოებული აქტივობებით ან/და რომლისკენაც მიმართულია ასეთი აქტივობები და, როგორც წესი, ჩართულია მათ განხორციელებაში;

ბ) **გრანტი** – ფონდის მიერ გრანტის მიმღებისთვის საგრანტო პროექტის განსახორციელებლად, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი რესურსი, ფულადი ფორმით;

გ) **საგრანტო კონკურსი** – თავისუფალი კონკურენციის პრინციპზე დაყრდნობით ჩატარებული პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს საუკეთესო საგრანტო პროექტის გამოვლენას;

დ) **საგრანტო განაცხადი** – გრანტის მიღების უფლების მოპოვების შესახებ წერილობითი განცხადება, რომლის ფორმა მტკიცდება ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საგრანტო პროექტი და შესაბამისი დოკუმენტაცია (ასეთი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში);

ე) **განმცხადებელი** – ახალგაზრდული ორგანიზაცია – საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი (წარმომადგენლობა), რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრული საქმიანობის მიზანია ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათი ნიჭისა და უნარის განვითარება და ინტეგრაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

ვ) **საგრანტო პროექტი** – საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით, ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, განმცხადებლის მიერ ფონდში წარდგენილი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია თემატური მიმართულებ(ებ)ის განხორციელების პირობები;

ზ) **საგრანტო პერიოდი** – გამარჯვებული საგრანტო პროექტის განხორციელების დროის მონაკვეთი, რომელიც გათვალისწინებულია საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან/და საგრანტო ხელშეკრულებით;

თ) **გრანტის მიმღები** – საგრანტო კომისიის მიერ გამოვლენილი განმცხადებელი, რომლის მიერ წარდგენილმა საგრანტო პროექტმაც გაიმარჯვა საგრანტო კონკურსში და რომელთანაც გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ი) **საგრანტო კომისია** – ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საგრანტო კონკურსის ორგანიზებულ მართვას, საგრანტო განაცხადების მიღებას, მათ განხილვას, გრანტის მიმღების გამოვლენას და საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას;

კ) **საგრანტო ხელშეკრულება** – ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება გრანტის გაცემის შესახებ;

ლ) **საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი** – საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგრანტო პროექტის მიმდინარეობისა და შესრულების მონიტორინგი;

მ) **საგრანტო ანგარიში** – საგრანტო პროექტის დასრულებამდე ან/და დასრულების შემდგომ, გრანტის მიმღების მხრიდან საგრანტო პროექტის განხორციელების შესახებ ფონდში წარდგენილი წერილობითი ანგარიში, რომლის ფორმა/ფორმები მტკიცდება ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ნ) **საანგარიშო პერიოდი** – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც გრანტის მიმღები ახორციელებს გრანტის ხარჯვას და დასრულების შემდგომ წარუდგენს ფონდს საგრანტო ანგარიშს;

ო) **საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები** – საგრანტო პროექტის შესაფასებლად საგრანტო კომისიისთვის განსაზღვრული, ამ ბრძანების მეორე მუხლით დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები, შესაბამისი ქულების მითითებით;

პ) **დამოუკიდებელი ექსპერტი** – ფიზიკური პირი, რომელსაც შესაბამის სფეროში გააჩნია სპეციალური ცოდნა, ამ ცოდნის ფარგლებში აფასებს საგრანტო პროექტს და სამსახურებრივად არ არის დაკავშირებული ფონდთან;

ჟ) **ტექნიკური ხარვეზი** – მექანიკური ხასიათის არაარსებითი შეცდომა, რომელიც დაშვებულია დოკუმენტაციიდან მონაცემების უზუსტო გადატანის ან/და გაანგარიშების დროს, ასევე ორთოგრაფიული, არითმეტიკული ან სხვა სახის ტექნიკური უზუსტობა, რომლის გამოსწორება არ გამოიწვევს საგრანტო განაცხადის არსებით ცვლილებას საგრანტო კონკურსის პირობებთან მიმართებით;

რ) **დღე** – სამუშაო დღე.

2. ამ დებულებაში მითითებული სხვა ტერმინები და ცნებები განიმარტება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 3. საგრანტო კონკურსის დაფინანსება, გრანტის საერთო მოცულობა და გრანტების რაოდენობა თემატური მიმართულებების მიხედვით

საგრანტო კონკურსი ფინანსდება წლიური სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფონდისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ან/და ფონდის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული წყაროდან მიღებული შემოსავლებით. გრანტის საერთო მოცულობის განაწილებას თემატური მიმართულებების მიხედვით განსაზღვრავს ფონდის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 4. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. გრანტის მოპოვება შეიძლება მხოლოდ საგრანტო კონკურსის წესით. საგრანტო კონკურსს აცხადებს და ადმინისტრირებას უწევს ფონდი, ამ დებულების შესაბამისად.

2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების მიზნით ფონდის დირექტორი უზრუნველყოფს:

ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადებას და საგრანტო განაცხადის მიღების ვადების დადგენას;

ბ) საგრანტო კონკურსის მოთხოვნების, საგრანტო პროექტის ფორმის, გრანტის მიღების უფლების მოპოვების შესახებ წერილობითი განცხადების ფორმისა და საგრანტო ანგარიშ(ებ)ის ფორმების დამტკიცებას;

გ) განმცხადებლის მიერ წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის ნუსხის, წარდგენის წესის და გრანტის ხარჯვის პირობების დამტკიცებას;

დ) საგრანტო კომისიის და ამავე კომისიის სამდივნოს შექმნას; საგრანტო კომისიის მუშაობაში მოწვეული პირის სტატუსით სხვადასხვა პირების მოწვევას;

ე) გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ანგარიშის წარდგენის და საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის განხორციელების წესის და ვადების დადგენას;

ვ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას გრანტის მიმღებთან;

ზ) სხვა საკითხების რეგულირებას, რომელიც ამ დებულების მიზნებისათვის, არ შედის სხვა ორგანოს/პირის კომპეტენციაში, მაგრამ აუცილებელია საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებისთვის.

მუხლი 5. საგრანტო კომისია

1. საგრანტო კონკურსის ორგანიზებული მართვის, საგრანტო განაცხადების მიღების, განხილვის, საგრანტო კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისა და ამ დებულებით გათვალისწინებული შესაბამისი საქმიანობის განხორციელების მიზნით, ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საგრანტო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით. ამ პუნქტში მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საგრანტო კომისიის უფლებამოსილების ვადა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგრანტო კომისიის წევრებზე შრომის ანაზღაურება არ გაიცემა.

3. საგრანტო კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც:

ა) ხელმძღვანელობს საგრანტო კომისიის და საგრანტო კომისიის სამდივნოს მუშაობას; ორგანიზებას უწევს საგრანტო კომისიის სხდომების მომზადებას; განსაზღვრავს საგრანტო კომისიის სხდომის დღის წესრიგს და უზრუნველყოფს საგრანტო კომისიის წევრებისათვის მის ხელმისაწვდომობას; უზრუნველყოფს სხდომაზე აზრის თავისუფლად გამოხატვას და წესრიგის დაცვას;

ბ) წარმოადგენს საგრანტო კომისიას საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) ხელს აწერს საგრანტო კომისიის და საგრანტო კომისიის სამდივნოს კორესპონდენციას;

დ) ასრულებს სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

4. საგრანტო კომისია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო განაცხადის დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით;
ბ) განიხილავს საგრანტო პროექტებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ;
გ) იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო კომისიის წევრის აცილების შესახებ;
დ) ფონდის დირექტორს წარუდგენს წინადადებას სათათბირო ხმის უფლებით საგრანტო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით შესაბამისი პირების მოწვევის შესახებ;
ე) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. საგრანტო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა
საგრანტო კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
ა) საგრანტო კომისიის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ;
ბ) ფონდის დირექტორის გადაწყვეტილებით;
გ) თუ იგი სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად იქნა აღიარებული ან მხარდაჭერის მიმღებად იქნა ცნობილი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) თუ იგი სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
ე) გარდაიცვალა;
ვ) პირადი განცხადებით უარი თქვა საგრანტო კომისიის წევრობაზე;
ზ) მის მიმართ კანონიერ ძალში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
თ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ ორჯერ არ მონაწილეობდა საგრანტო კომისიის მუშაობაში;
ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

მუხლი 7. ინტერესთა კონფლიქტი
1. საგრანტო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, აგრეთვე, არ შეიძლება საგრანტო პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობდეს დამოუკიდებელი ექსპერტი:
ა) რომელიც არის განმცხადებელი ან მისი წარმომადგენელი;
ბ) რომელიც არის განმცხადებლის ნათესავი;
გ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი საგრანტო პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;
დ) რომელიც შრომით ურთიერთობაშია განმცხადებელთან;
ე) რომლის საქმიანობა იწვევს დასაბუთებულ ეჭვს პირის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის შესახებ.
2. ამ დებულების მიზნებისთვის ნათესავად ჩაითვლება:
ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები ვალდებულნი არიან, საგრანტო კომისიას აცნობონ აცილების საფუძვლებისა და, მისგან გამომდინარე, თვითაცილების შესახებ.
4. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია აცილების აუცილებლობის შესახებ საგრანტო კომისიისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული საგრანტო პროექტის დამტკიცებამდე, საგრანტო კომისია აუქმებს აცილებას დაქვემდებარებული პირის მიერ გაკეთებულ შეფასებას.
5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია აცილების აუცილებლობის შესახებ საგრანტო კომისიისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული საგრანტო პროექტის დამტკიცების ან/და გრანტის გაცემის შემდეგ, ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება წყდება და გრანტის მიმღებისთვის გადარიცხული გრანტი ექვემდებარება ფონდის ანგარიშზე დაბრუნებას.

მუხლი 8. საგრანტო კომისიის საქმიანობის წესი

1. საგრანტო კომისიის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს საგრანტო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – საგრანტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. საგრანტო კომისიის სხდომაზე საკითხები განიხილება დღის წესრიგის შესაბამისად.
2. სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს საგრანტო კომისიის ყველა წევრი. საგრანტო კომისიის წევრი შეიძლება ესწრებოდეს სხდომას უშუალოდ ან საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებით მონაწილეობას იღებდეს მის მუშაობაში კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით.
3. საგრანტო კომისია მსჯელობს და გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე.
4. საგრანტო კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საგრანტო კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. საგრანტო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, საგრანტო კომისიის წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. საგრანტო კომისიის წევრს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. საგრანტო კომისიის წევრს უფლება აქვს, საკითხზე კენჭისყრისას თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
6. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საგრანტო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. საგრანტო პროექტების შეფასებას საგრანტო კომისია ახორციელებს ამ მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
8. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება აისახება საგრანტო კომისიის სხდომის ოქმში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 9. საგრანტო კომისიის სხდომის ოქმი

1. საგრანტო კომისიის სხდომის ოქმს ადგენს საგრანტო კომისიის სამდივნოს თანამშრომელი, ამ დებულების შესაბამისად. საგრანტო კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ საგრანტო კომისიის თავმჯდომარე, საგრანტო კომისიის მდივანი და საკითხის განხილვაში მონაწილე სხდომაზე დამსწრე საგრანტო კომისიის წევრები. თუ საგრანტო კომისიის რომელიმე წევრი არ ეთანხმება ოქმის შინაარსს, ასეთმა წევრმა შენიშვნა წერილობითი ფორმით უნდა დაურთოს ოქმს.

2. სხდომის ოქმში შეიტანება:

ა) საგრანტო კომისიის დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) საგრანტო კომისიის წევრების და მოწვეული პირების (ასეთის შემთხვევაში) სახელი, გვარი და თანამდებობა;

დ) სხდომის ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელი პირის – საგრანტო კომისიის მდივნის სახელი, გვარი და თანამდებობა;

ე) დღის წესრიგი;

ვ) საკითხის განხილვის აღწერა;

ზ) კენჭისყრის შედეგები;

თ) მიღებული გადაწყვეტილებები.

3. სხდომის ოქმი დგება ელექტრონულად, რომელიც ამოიბეჭდება მატერიალური სახით, ერთ ეგზემპლარად და დედნის სახით ინახება ფონდში.

მუხლი 10. საგრანტო კომისიის სამდივნო

1. საგრანტო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საგრანტო კომისიის სამდივნო (შემდგომში – სამდივნო), რომელსაც ფონდის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის ან მის ფუნქციებს ავალებს ფონდის რომელიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფს/თანამშრომელს. სამდივნოში საქმიანობისათვის შრომის ანაზღაურება არ გაიცემა.

2. სამდივნო:

ა) იღებს და რეგისტრაციაში ატარებს საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით განმცხადებლებისაგან შემოსულ დოკუმენტებს, ამოწმებს დოკუმენტების შესაბამისობას საგრანტო კონკურსის მოთხოვნებთან და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საგრანტო კომისიას;

ბ) ამზადებს საგრანტო კომისიის სხდომებს, უზრუნველყოფს საგრანტო კომისიის წევრთა და მოწვეულ პირთა ინფორმირებას;

გ) უზრუნველყოფს საგრანტო კომისიის სხდომების ოქმების წარმოებას;

დ) უზრუნველყოფს ან ორგანიზებას უკეთებს საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოქვეყნებას;

ე) ასრულებს საგრანტო კომისიის წევრებისა და საგრანტო კომისიის თავმჯდომარის მითითებებს;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) ასრულებს საგრანტო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ და ტექნიკურ ფუნქციას.
3. სამდივნოს ხელმძღვანელობს საგრანტო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 11. **დამოუკიდებელი ექსპერტის მოწვევა**
1. საგრანტო კომისიას უფლება აქვს მიმართოს ფონდის დირექტორს, საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით სპეციალური ექსპერტული ცოდნის ფარგლებში დახმარების აღმოჩენის მიზნით, დამოუკიდებელი ექსპერტის მოწვევის შესახებ.
2. საგრანტო კომისია ვალდებულია წარუდგინოს დამოუკიდებელ ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია და განუსაზღვროს საკითხთა წრე, რაზეც საჭიროა ექსპერტის დასკვნის მიღება.
3. დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულია წარადგინოს წერილობითი დასკვნა საგრანტო კომისიის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.
4. დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ დასკვნის წარუდგენლობა, ასევე დასკვნის დაგვიანებით ან/და არასრულყოფილად წარდგენა ხელს არ უშლის გადაწყვეტილების მიღებას.
5. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნას სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია საგრანტო კომისიისათვის.
6. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნასთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.
7. დამოუკიდებელი ექსპერტის საქმიანობა შესაძლოა იყოს ანაზღაურებადი. ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

მუხლი 12. **საგრანტო კონკურსის პირობები**
1. საგრანტო განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო ენაზე. თუ საგრანტო განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, წარადგინოს საგრანტო განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.
2. განმცხადებელს უფლება აქვს თითოეულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის წარადგინოს მხოლოდ ერთი საგრანტო განაცხადი.
3. საგრანტო პროექტის ბიუჯეტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს საგრანტო პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გრანტის 30%-ის ავანსის სახით გადარიცხვას, რაც რეგულირდება ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, ხოლო დარჩენილი ნაწილის საგრანტო ანგარიშის წარდგენის საფუძველზე გადარიცხვას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გრანტის ჩარიცხვა განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გრანტის მიმღების ანგარიშზე, საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
5. გრანტის მიმღებს არ შეუძლია გასცეს ქვეგრანტი.

მუხლი 13. კონკურსის ეტაპები
კონკურსის ეტაპებია:
ა) კონკურსის გამოცხადება;
ბ) საგრანტო განაცხადის წარდგენა;
გ) საგრანტო განაცხადის დასაშვებობის შემოწმება;
დ)საგრანტო კომისიის მიერ საგრანტო პროექტების შეფასება საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და გამარჯვებული საგრანტო პროექტის გამოვლენა;
ე) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 14. საგრანტო კონკურსის გამოცხადება
1. ფონდი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ ფონდის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.
2. საგრანტო განაცხადების მიღება დასაშვებია საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც აითვლება ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მომენტიდან.
3. საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) გრანტის გამცემის დასახელება;
ბ) თემატური მიმართულების დასახელება/აღწერა და ის მიზნები, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული გრანტის გაცემით;
გ) მოთხოვნები;
დ) საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები;
ე) საგრანტო პერიოდი;
ვ) გრანტის ოდენობა;
ზ) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა (ასეთი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში);
თ)საგრანტო განაცხადების მიღების დაწყების და დასრულების თარიღი.
4. საჭიროების შემთხვევაში, საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება შეიცავდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულისაგან განსხვავებულ ინფორმაციასაც.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 15. საგრანტო განაცხადის შერჩევა

1. საგრანტო განაცხადების მიღებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, საგრანტო კომისია იწყებს საგრანტო განაცხადების შემოწმება-შერჩევას.

2. შერჩევის პროცესში საგრანტო კომისია ახდენს საგრანტო განაცხადების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებად:

ა) საგრანტო განაცხადები, რომელთა მიმართ არსებობს განუხილველად დატოვების საფუძველი;

ბ) საგრანტო განაცხადები, რომლებიც უნდა იქნეს განხილული;

გ) საგრანტო განაცხადები, რომლებსაც აქვს ტექნიკური ხარვეზი და ექვემდებარება გამოსწორებას.

3. განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს განუხილველად დატოვების საფუძველი. განაცხადი ექვემდებარება განუხილველად დატოვებას, თუ ის არ აკმაყოფილებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ან თუ:

ა) განმცხადებელმა, არ წარადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია ან დოკუმენტაცია წარადგინა მოთხოვნილი ფორმის დარღვევით ან/და საგრანტო კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი;

ბ) ერთი განმცხადებლის მიერ ერთ საგრანტო კონკურსზე წარდგენილია ერთზე მეტი საგრანტო პროექტი;

გ) განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა საგრანტო კონკურსში მონაწილეობაზე.

4. საგრანტო კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, საგრანტო კონკურსის მიმდინარეობისას განმცხადებელს მოსთხოვოს საგადასახადო დავალიანების მდგომარეობის ამსახველი ცნობა.

5. საგრანტო კომისია უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს საგრანტო განაცხადში წარმოდგენილი გარკვეული საკითხების დაზუსტება.

6. საგრანტო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე განმცხადებელს ეცნობება წერილობით, სამდივნოს მიერ.

მუხლი 16. საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. საგრანტო პროექტების შეფასებას საგრანტო კომისია ახორციელებს ამ დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

2. საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა.

3. საგრანტო პროექტი ითვლება გამარჯვებულად, თუ დააგროვებს ყველა საგრანტო პროექტზე მეტ ქულას, მაგრამ არანაკლებ 75 ქულისა.

4. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, გამარჯვებული საგრანტო პროექტის გამოვლენა მოხდება საგრანტო კომისიის მიერ დამსწრე საგრანტო კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საგრანტო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 17. გამარჯვებული საგრანტო პროექტის გამოვლენა

1. საგრანტო კომისია დეტალურად სწავლობს და აფასებს საგრანტო პროექტებს საგრანტო პროექტის კრიტერიუმების საფუძველზე. ასევე, საჭიროების შემთხვევაში მოხდება ახსნა-განმარტებების მიღება შესაბამისი განმცხადებლისგან და/ან დამოუკიდებელი ექსპერტისაგან.
2. საგრანტო პროექტის შეფასებისას საბოლოო ქულა გამოიყვანება საგრანტო კომისიის წევრების შეფასების დაჯამებისა და შესაბამისი საშუალო არითმეტიკულის გამოყვანის საფუძველზე.
3. საგრანტო კონკურსის შედეგები საჯაროდ ქვეყნდება ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 18. გადაწყვეტილების მიღების ვადა

საგრანტო პროექტის შერჩევის პროცედურა უნდა დასრულდეს და გამარჯვებული გამოვლინდეს საგრანტო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

მუხლი 19. საგრანტო ხელშეკრულების დადება

1. სამართლებრივი ურთიერთობა ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის წესრიგდება ამ დებულებით და მათ შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულებით.
2. საგრანტო ხელშეკრულების დადების საფუძველია საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება, საგრანტო პროექტის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ.
3. საგრანტო პროექტის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, ფონდსა და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულს შორის იდება საგრანტო ხელშეკრულება.
4. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე საგრანტო კონკურსში გამარჯვებულთან მოლაპარაკების საფუძველზე მოახდინოს საგრანტო პროექტის არაარსებითი საკითხების დაზუსტება/დაკორექტირება.
5. საგრანტო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) მხარეთა დასახელებას და რეკვიზიტებს;
ბ) მითითებას საგრანტო ხელშეკრულების დადების საფუძვლის შესახებ;
გ) თემატური მიმართულებების განხორციელების აღწერას და ვადებს;
დ) მხარეთა უფლება-მოვალეობებს;
ე) გასაცემი გრანტის ოდენობას და გაცემის ეტაპებს, ვადას და მხარეთა საბანკო რეკვიზიტებს;
ვ) პასუხისმგებლობის ფორმებს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო;
ზ) საგრანტო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს და შეწყვეტის წესს;
თ) გრანტის გამოუყენებელი ნაწილის დაბრუნების მექანიზმს;
ი) დავის გადაწყვეტის წესს;
კ) საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის წესს (ფორმას);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლ) ფონდის მიერ საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის წესს;
მ) საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის პირობებს.
6. საგრანტო ხელშეკრულება არ იდება იმ შემთხვევაში, როცა:
ა) არსებითად შეიცვალა გარემოება, რის გამოც შეუძლებელია საგრანტო ხელშეკრულების დადება;
ბ) გამოვლინდა საგრანტო პროექტის განუხილველად დატოვების საფუძველი;
გ) არსებითად არის დარღვეული საგრანტო კონკურსის ჩატარების წესი.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების აღმოფხვრიდან 5 დღის ვადაში, ფონდი იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების ან ხელახალი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ.
8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, 5 დღის ვადაში ფონდი იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო კონკურსის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ ან/და ხელახალი საგრანტო კონკურის გამოცხადების შესახებ.

მუხლი 20. გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა
1. გრანტის მიმღები საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებს დამოუკიდებლად და მის საქმიანობაში ფონდის ჩარევა დაუშვებელია.
2. გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევად არ ითვლება ამ დებულებით და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება.

მუხლი 21. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი
1. ფონდი ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
2. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის მიზნით გრანტის მიმღები ფონდს წარუდგენს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგრანტო ანგარიშს.
3. მონიტორინგი გულისხმობს როგორც საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ასევე, საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი პროექტის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების შემოწმებას.
4. ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:
ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯი;
ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი მისი გამწევის მხრიდან ექვემდებარება უკან დაბრუნებას ფონდის ანგარიშზე;
გ) გრანტის აუთვისებელ ნაწილად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება ფონდის ანგარიშზე დაბრუნებას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 22. საგრანტო პროექტის შეწყვეტა და გამოუყენებელი გრანტის დაბრუნება

1. საგრანტო პროექტი შეწყდება, თუ გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია, ან გამოვლინდება ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია 1 თვის ვადაში დააბრუნოს მიღებული გრანტი და კარგავს დარჩენილი გრანტის მოთხოვნის უფლებას.

3. გრანტის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებით.

4. თუ საგრანტო პერიოდის ამოწურვის შედეგად დარჩება გამოუყენებელი თანხები, გრანტის მიმღები ვალდებულია საგრანტო პერიოდის ამოწურვიდან 1 თვის ვადაში ფონდს დაუბრუნოს გრანტის გამოუყენებელი ნაწილი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №2

საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1. **პროექტის შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და პრიორიტეტებთან** • რამდენად შეესაბამება პროექტი კონკურსში მოთხოვნილ მიზნებსა და პრიორიტეტებს? • რამდენად სტრატეგიულად არის შერჩეული პროექტის სამიზნე ჯგუფები? რამდენად ნათლად არის განსაზღვრული მათი საჭიროებები და ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების გზები? • შეიცავს თუ არა პროექტი დამატებითი ღირებულების ელემენტს, როგორიცაა გენდერული თანასწორობისა და უმცირესობათა უფლებების დაცვა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და სხვა?	25
2. **ეფექტურობა და განხორციელებადობა** • არის თუ არა შემოთავაზებული აქტივობები შესაფერისი, პრაქტიკული და თანმიმდევრული მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მიმართ? • არის თუ არა აქტივობების გეგმა ნათელი და განხორციელებადი? • შეიცავს თუ არა პროექტი დაგეგმილი შედეგების ობიექტურად შემოწმებად/გაზომვად ინდიკატორებს? არის თუ არა რაიმე ტიპის შეფასება (პროექტის შედეგები) დაგეგმილი? • არის თუ არა პროექტის განმახორციელებელი პარტნიორების ჩართულობა და მონაწილეობა დამაკმაყოფილებელი?	25
3. **პროექტის მდგრადობა** • რამდენად ექნება პროექტს გავლენა მიზნობრივ ჯგუფებზე? • რამდენად სავარაუდოა, რომ პროექტს ექნება გამრავლების ეფექტი (მათ შორის გამეორება სხვათა მიერ, სამომავლო გაფართოება განმახორციელებლების მიერ, და ინფორმაციის გაზიარება). • მდგრადია თუ არა პროექტის მოსალოდნელი შედეგები? - ფინანსურად (როგორ გაგრძელდება პროექტის აქტივობების დაფინანსება პროექტის შემდეგ?) - ინსტიტუციურად (დარჩებიან თუ არა პროექტის შემდეგ ის სტრუქტურები, რომლებიც იძლევიან აქტივობების განხორციელების საშუალებას?) - პოლიტიკების დონეზე (სადაც შესაძლებელია) (მაგალითად, მიგვიყვანს თუ არა პროექტი გაუმჯობესებულ კანონმდებლობამდე, პრაქტიკამდე, მეთოდამდე, ქცევის წესებამდე?)	25
4. **პროექტის ბიუჯეტი და ხარჯთეფექტურობა** • არის თუ არა პროექტის ბიუჯეტი ხარჯთეფექტური და რეალისტური? • იძლევა თუ არა საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი პროექტის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას და რამდენად შეესაბამება იგი პროექტის სამოქმედო გეგმას?	25
კრიტერიუმების შეფასების ჯამური ქულა	100

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

situaciuri saxelmZRvaneloebi / manualebi

ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა 1420



- *სიტუაციური სახელმძღვანელო არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პირები ურთიერთდამოკიდებული არიან;*
- *დღგ-ის და მოგების გადასახადთან მიმართებაში, ანალოგიური შემთხვევებისათვის გამოცემულია, №1185 და №2523 სიტუაციური სახელმძღვანელოები.*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფიზიკური პირის მიერ იჯარით გაცემული ქონების მიწაზე ქონების გადასახადით დაბეგვრა 1421



➢ *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2015 წლის 3 ივნისისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფიზიკური პირის ქონების გადასახადი დასაბეგრ ქონებაზე (გარდა მიწისა) 1422

ფაქტობრივი გარემოებები

ფიზიკური პირის ოჯახის მიერ 2015 წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბა 40 000 ლარს.

I ვარიანტი
ფიზიკურ პირს საკუთრებაში ჰქონდა საცხოვრებელი ბინა, რომლის რეალიზაციაც მოახდინა 2015 წლის აგვისტოს ბოლოს.

II ვარიანტი
ფიზიკურმა პირმა კომერციული ფართი შეიძინა 2015 წლის მარტის დასაწყისში.

I ვარიანტში:
ფიზიკურმა პირმა 2016 წლის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში არ ასახა 2015 წელს რეალიზებული დასაბეგრი ქონების შესახებ მონაცემები, იმ მოტივით, რომ მას აღნიშნული ქონება საკუთრებაში არ ჰქონდა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

II ვარიანტში:
ფიზიკურმა პირმა 2015 წლის მარტში შეძენილ ქონებაზე, რომლის შესახებ მონაცემები ასახა 2016 წლის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში, ქონების გადასახადი გადაიხადა საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად.

შეფასება

სსკ-ის 202-ე მუხლის მე-5 წაწილის გათვალისწინებით, ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება საგადასახადო პერიოდის ბოლოთვის დასაბეგრი ქონების სამაზრო ღირებულებიდან გამომდინარე. ამავე მუხლის მე-8 წაწილის მიხედვით, დასაბეგრ ქონებაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთით.

სსკ-ის 205-ე მუხლის მე-11 და მე-12 წაწილების გათვალისწინებით, ფიზიკური პირის ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება განული საგადასახადო წლის მიხედვით. ქონების გადასახადის გამოანგარიშება და გადახდის წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით. ამ ბრძანებით დამტკიცებული ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის ფორმა და მისი შევსების წესი ითვალისწინებს დასაბეგრ ქონებაზე ქონების გადასახადის გამოანგარიშებას ქონების ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებობის პერიოდის (თვეების) შესაბამისად (91-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი).

ფიზიკური პირი ვალდებული იყო, 2016 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციაში აესახა 2015 წლის განმავლობაში საკუთრებაში არსებული ქონება (როგორც წლის განმავლობაში რეალიზებული, ასევე შეძენილი) და ქონების გადასახადი გადაეხადა მის საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად (რეალიზებულ ქონებაზე წლიური ქონების გადასახადის 8/12, ხოლო შეძენილზე - 10/12).

ღონისძიებები

I ვარიანტში:
ფიზიკურ პირს დაერიცხება კუთვნილი ქონების გადასახადი, გადასახადის შემცირების შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

II ვარიანტში:
ფიზიკური პირის ქმედებაში სამართალდარღვევა არ იკვეთება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია
„ფიზიკური პირის ქონების გადასახადი დასაბეგრ ქონებაზე (გარდა მიწისა)" №1422 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, ფიზიკური პირის ოჯახის მიერ 2015 წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბა 40 000 ლარს.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში ფიზიკურ პირს საკუთრებაში ჰქონდა საცხოვრებელი ბინა, რომლის რეალიზაციაც მოახდინა 2015 წლის აგვისტოს ბოლოს. ხოლო მეორე შემთხვევაში ფიზიკურმა პირმა კომერციული ფართი შეიძინა 2015 წლის მარტის დასაწყისში.

პირველ შემთხვევაში ფიზიკურმა პირმა 2016 წლის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში არ ასახა 2015 წელს რეალიზებული დასაბეგრი ქონების შესახებ მონაცემები, იმ მოტივით, რომ მას აღნიშნული ქონება საკუთრებაში არ ჰქონდა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხოლო მეორე შემთხვევაში ფიზიკურმა პირმა 2015 წლის მარტში შეძენილ ქონებაზე, რომლის შესახებ მონაცემები ასახა 2016 წლის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში, ქონების გადასახადი გადაიხადა საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად.

სსკ-ის 202-ე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით, ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების სამაზრო ღირებულებიდან გამომდინარე. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, დასაბეგრ ქონებაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთით.

სსკ-ის 205-ე მუხლის მე-11 და მე-12 ნაწილების გათვალისწინებით, ფიზიკური პირის ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით. ქონების გადასახადის გამოანგარიშება და გადახდის წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით. ამ ბრძანებით დამტკიცებული ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის ფორმა და მისი შევსების წესი ითვალისწინებს დასაბეგრ ქონებაზე ქონების გადასახადის გამოანგარიშებას ქონების ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებობის პერიოდის (თვეების) შესაბამისად (91-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი).

ფიზიკური პირი ვალდებული იყო, 2016 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციაში აესახა 2015 წლის განმავლობაში საკუთრებაში არსებული ქონება (როგორც წლის განმავლობაში რეალიზებული, ასევე შეძენილი) და ქონების გადასახადი გადაეხადა მის საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად (რეალიზებულ ქონებაზე წლიური ქონების გადასახადის 8/12, ხოლო შეძენილზე - 10/12).

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში ფიზიკურ პირს დაერიცხება კუთვნილი ქონების გადასახადი, გადასახადის შემცირების შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად. ხოლო მეორე შემთხვევაში ფიზიკური პირის ქმედებაში სამართალდარღვევა არ იკვეთება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დასაბეგრი ქონების ღირებულების რემონტის თანხით გაზრდა 1423

ფაქტობრივი გარემოებები

საგადასახადო შემოწმებით დადგინდა, რომ საწარმომ განახორციელა 2004 წლამდე შეძენილი უძრავი ქონების კაპიტალური რემონტი და შესაბამისად, გაზარდა ამ ქონების საბალანსო ღირებულება. ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის, სსკ-ის 202-ე მუხლის პირველი წაწილით გათვალისწინებული კოეფიციენტით გაზრდილი დასაბეგრი ქონების ღირებულებამ გადააჭარბა მისი საბაზრო ფასის ოდენობას.

საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობისას საგადასახადო ორგანოს სადავოდ არ გაუხდია გადამხდელის ქმედება, რომლის შესაბამისად ,საწარმომ დასაბეგრი ქონების ღირებულება განსაზღვრა საბაზრო ფასის ოდენობის მიხედვით.

შეფასება

სსკ-ის 202-ე მუხლის პირველი წაწილის მიზნებისათვის, დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო წარჩენი ღირებულება (გამოიაწგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს: ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ; ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ; გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ; დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, – ამ წაწილის „ა“ ქვეპუნქტით გაწსაზღვრული ოდენობით.

ამასთან, 202-ე მუხლის მე-4 წაწილი საგადასახადო ორგანოს უფლებას აძლევს, გადასახადის გადამხდელს, გარდა ამ მუხლის მე-2 წაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება გაწუსაზღეროს საბაზრო ფასით.

იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო ორგანოს სადავოდ არ გაუხდია გადამხდელის ქმედება, იგულისხმება, რომ საგადასახადო ორგანომ ისარგებლა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-4 წაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილებით.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია
„დასაბეგრი ქონების ღირებულების რემონტის თანხით გაზრდა“ №1423 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს სსკ-ის 202-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი კოეფიციენტით გაზრდას დაქვემდებარებული იმ დასაბეგრი უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, საგადასახადო შემოწმებით დადგინდა, რომ საწარმომ განახორციელა 2004 წლამდე შეძენილი უძრავი ქონების კაპიტალური რემონტი და შესაბამისად, გაზარდა ამ ქონების საბალანსო ღირებულება. ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის, სსკ-ის 202-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კოეფიციენტით გაზრდილი დასაბეგრი ქონების ღირებულებამ გადააჭარბა მისი საბაზრო ფასის ოდენობას.

საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობისას საგადასახადო ორგანოს სადავოდ არ გაუხდია გადამხდელის ქმედება, რომლის შესაბამისად საწარმომ დასაბეგრი ქონების ღირებულება განსაზღვრა საბაზრო ფასის ოდენობის მიხედვით.

სსკ-ის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის, დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს,–ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობით.

სსკ-ის 202-ე მუხლის მე-4 ნაწილი საგადასახადო ორგანოს უფლებას აძლევს, გადასახადის გადამხდელს, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით.

იმის გათვალიწინებით, რომ საგადასახადო ორგანოს სადავოდ არ გაუხდია გადამხდელის ქმედება, იგულისხმება, რომ საგადასახადო ორგანომ ისარგებლა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფიქტიური ოპერაციის ამსახველ სასაქონლო ზედნადებზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №2532

ფაქტობრივი გარემოებები

პირის მიერ ეტაპობრივად მიწოდებულ საქონელზე გამოწერილია რამდენიმე სასაქონლო ზედნადები, რომელზეც პერიოდის ბოლოს გამოიწერა ერთიანი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

საგამოძიებო სამსახურმა დაადგინა, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში ასახული სასაქონლო ზედნადებებიდან ერთ-ერთი მათგანი არის ფიქტიური ოპერაციის ამსახველი.

გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამომწერს დეკლარირებული აქვს შესაბამის პერიოდში, ხოლო - მყიდველს ჩათვლილი.

შეფასება

საგადასახადო კოდექსის 280-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების შედეგად ან ყალბი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტით ჩათვლის განხორციელება იწვევს პირის დაჯარიმებას ჩათვლილი გადასახადის თანხის 200 პროცენტის ოდენობით. ხოლო ამავე კოდექსის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პირის მიერ ფიქტიური გარიგების/უსაქონლო ოპერაციის ამსახველი ან ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა იწვევს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი/გამცემი პირის დაჯარიმებას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200 პროცენტის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მოიცავს ფიქტიურ ოპერაციაზე გამოწერილი ერთი ზედნადების თანხას, ხოლო დანარჩენი არის რეალურად მომხდარ ოპერაციაზე გამოწერილი სასაქონლო ზედნადების თანხა, სსკ-ის 280-ე და 282-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები გამოყენებულ უნდა იქნეს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის შესაბამისად.

ღონისძიებები

უნდა დაზუსტდეს:
- საფ-ის გამომწერთან - დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა;
- ჩათვლის მიმღებთან - ჩათვლილი დღგ-ის თანხა (შემცირება).

საფ-ის გამომწერს დაერიცხება სსკ-ის 282-ე მუხლით, ხოლო დღგ-ის ჩამთვლელ პირს - სსკ-ის 280-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით ჩათვლილი დღგ-ის თანხის 200-200%-ის ოდენობით.

ამასთან, გადასახადის შემცირების შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„ფიქტიური ოპერაციის ამსახველ სასაქონლო ზედნადებზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა“ №2532

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს, ფიქტიური ოპერაციის ამსახველ სასაქონლო ზედნადებზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და ამგვარი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ის ჩათვლის შემთხვევაში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი და ამგვარი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ის ჩამთვლელი პირებისათვის ჯარიმების დაკისრების საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, პირის მიერ ეტაპობრივად მიწოდებულ საქონელზე გამოწერილია რამდენიმე სასაქონლო ზედნადები, რომელზეც პერიოდის ბოლოს გამოიწერა ერთიანი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. საგამოძიებო სამსახურმა დაადგინა, რომ საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურაში ასახული სასაქონლო ზედნადებებიდან ერთ-ერთი მათგანი არის ფიქტიური ოპერაციის ამსახველი.

გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამომწერს დეკლარირებული აქვს შესაბამის პერიოდში, ხოლო - მყიდველს ჩათვლილი.

საგადასახადო კოდექსის 280-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების შედეგად ან ყალბი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტით ჩათვლის განხორციელება იწვევს პირის დაჯარიმებას ჩათვლილი გადასახადის თანხის 200 პროცენტის ოდენობით. ხოლო ამავე კოდექსის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პირის მიერ ფიქტიური გარიგების/უსაქონლო ოპერაციის ამსახველი ან ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა იწვევს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი/გამცემი პირის დაჯარიმებას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200 პროცენტის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მოიცავს ფიქტიურ ოპერაციაზე გამოწერილი ერთი ზედნადების თანხას, ხოლო დანარჩენი არის რეალურად მომხდარ ოპერაციაზე გამოწერილი სასაქონლო ზედნადების თანხა, სსკ-ის 280-ე და 282-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები გამოყენებულ უნდა იქნეს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის შესაბამისად.

ამდენად, უნდა დაზუსტდეს საფ-ის გამომწერთან - დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა, ხოლო ჩათვლის მიმღებთან - ჩათვლილი დღგ-ის თანხა (შემცირება).

საფ-ის გამომწერს დაერიცხება სსკ-ის 282-ე მუხლით, ხოლო დღგ-ის ჩამთვლელ პირს - სსკ-ის 280-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით ჩათვლილი დღგ-ის თანხის 200-200%-ის ოდენობით.

ამასთან, გადასახადის შემცირების შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

17.10.2018

2018 წლის 17 ოქტომბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 25 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 10-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 42 520 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 8.750 პროცენტით, მაქსიმალური 8.920 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 8.822 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 9.375 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფულადი გზავნილები სექტემბერში

15.10.2018

2018 წლის სექტემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 131.3 მლნ აშშ დოლარი, (342.7 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 5.6 პროცენტით (6.9 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2017 წლის სექტემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92.9 პროცენტი იმ 16 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ სექტემბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 16 ქვეყანაზე გასული წლის სექტემბერში მთელი ფულადი გზავნილების 93.0 პროცენტი მოდიოდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	ფულადი გზავნილების მოცულობა სექტემბერი, 2018 მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		სექტემბერი, 2017	სექტემბერი, 2018
სულ	131.3	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	46,65	31,16	35,53
მათ შორის:			
იტალია	16,42	10,48	12,50
საბერძნეთი	14,17	10,48	10,80
გერმანია	3,39	2,52	2,58
ესპანეთი	3,36	2,47	2,56
პოლონეთი	2,01	0,25	1,53
საფრანგეთი	1,75	1,00	1,33
გაერთიანებული სამეფო	1,32	1,25	1,00
კვიპროსი	1,04	0,49	0,79
დანარჩენი ქვეყნები, სულ	84,66	68,84	64,47
მათ შორის:			
რუსეთი	37,70	32,76	28,71
აშშ	14,20	10,12	10,82
ისრაელი	12,50	9,34	9,52
თურქეთი	7,23	7,66	5,51
უკრაინა	2,28	1,78	1,74
ყირგიზეთი	1,56	0.28	1,19
აზერბაიჯანი	1,56	0.92	1,19
ყაზახეთი	1,46	1,23	1,11

2018 წლის სექტემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 19.2 მლნ აშშ დოლარი (50.2 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 19.0 მლნ აშშ დოლარისა (46.8 მლნ ლარისა) გასული წლის სექტემბერში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com